1 ოქტომბერი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

ყრმა იესოსა და უფლის წმიდა სახის წმ. თერეზა, ქალწული, კარმელიტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1897 ლიზიეში (საფრანგეთი), (მ), თ

ნეემ 2,1-8; ფს 136; ლკ 9,57-62

მისიონერთა თვე

ღმერთის კეთილი ხელი იყო ჩემზე ნეემ 2,8

ღმერთის მოწყალე ხელია თავმდაბლებზე: ეს შენიშნა ნეემიამ, ართახშარსთა მეფის მერიქიფემ. ასეა ყოველ კაცზე: წმინდანები ამის ნათელი მაგალითია! როცა ჩემს ძმებს „ვემორჩილები“ იესოს სახელით, თუნდაც რაიმეს ფასად და შინაგანი ამბოხით, ნელ-ნელა ვპოულობ თავმდაბლობისა და სიმშვიდის ძალას. ყრმა იესოსა და წმინდა სახის წმიდა ტერეზა ნამდვილი მოძღვარია თავმდაბლობისა და ნდობისა.

2 ოქტომბერი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. მფარველ ანგელოზთა, (მ), [ს], თ

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

ანგელოზს მოვავლენ შენს წინ გამ 23,20

მადლობას გიხდი, მამაო, ჩვენზე ზრუნვისთვის. შენს ხალხს, რომელიც შენგან აღთქმულ მიწაზე შედიოდა, უსაფრთხო და ძლიერი ანგელოზი მოუვლინე მეგზურად. შენ გწადს, რომ თითოეულ ჩვენგანს შენი ანგელოზი იცავდეს, რომელიც ყოველ კაცზე ბოძებული სიყვარულის ნიშანია. მადლობა, რადგან შენი ანგელოზი შემახსენებს შენი ძის, იესოს სიტყვებს.

3 ოქტომბერი

პარასკევი
2025

ბარ 1,15-22; ფს 78; ლკ 10,13-16

ვინცა თქვენ გისმენთ, მე მისმენს ლკ 10,16

იესო გრძნობს თავისი მოწაფეების სიყვა-
რულს მის მიმართ, სწამს, რომ სულიწმიდა
გაანათლებს მათ და ისინიც აუწყებენ ყოვე-
ლივეს, რაც მას ნებავს. იესო ასევე გრძნობს
მათ სიყვარულს, ვინც მისი სახელით მოუბარ
მოწაფეებს უსმენს და სერიოზულად აღიქ-
ვამს მათ სიტყვებს. თუნდაც მათი უწყება
არ იყოს სრულყოფილი, მის თვალში მაინც
ძვირფასი და ნაყოფიერია ის სიყვარული,
რითაც უსმენენ და ემორჩილებიან.

4 ოქტომბერი

შაბათი
2025

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. ფრანცისკე ასიზელი, ფრანცისკელთა დამაარსებელი, +1226 ასიზიში, (მ), თ

გალ 6,14-18; ფს 15; მთ 11,25-30

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

ყველაფერი ჩემი მამისგან მომეცა მთ 11,27

ეს სიტყვა, უდაბნოში სატანას მიერ იესოს მესამე გამოცდას მახსენებს. უთხრა მას: "ყოველივე ამას მოგცემ, თუ დაეცემი და თაყვანს მცემ მე". თუმცა, უკვე „ყველაფერი" მიეღო იესოს მამისგან - ყოველი კაცის გული: ყველა, ვინც კი თავის ჯვარს ატარებს, მის სამეფოში შევა. დღეს წმინდა ფრანცისკე იპყრობს გულებს: „დიდება შენდა, უფალო ჩემო, მათ გამო, ვინც მომაკვდინებელ ცოდვათა გარეშე კვდება, მეორედ სიკვდილი მათ არას ავნებს".

რიგითი XXVII კვირადღე, «გ», [III], მწ

*[წმ. ფაუსტინა კოვალსკა,
პოლონელი მონაზონი, +1938 კრაკოვში]*

აბაკ 1,2-3; 2,2-4; ფს 94; 2ტიმ 1,6-8.13-14; ლკ 17,5-10

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ვავაკეთეთ ის, რაც უნდა ვაკეთებინა ლკ 17,10

ჩემთვის დიდი საბოძვარია, რომ შევძლო მსახურება უფალი იესოსი და ვიზრუნო მის სასუფეველზე, გამოვაცხადო მისი სიტყვა და თავი მივუძღვნა მის „ფარას“. ამ „მადლს“ უშურველად მიბოძებს, სულაც არ სჭირდება ჩემი მსახურება. მადლობა, რამეთუ შემეწევა მე, ფრთხილად აღვასრულო ეს მსახურება და საზღაურს ველოდო არა კაცთაგან, არამედ მხოლოდ მისგან, დიდი თავმდაბლობით.

6 ოქტომბერი

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

წმ. ბრუნო, ხუცესი, დიდი შარტრის დამაარსებელი, +1101 კალაბრიაში

იონ 1,1 - 2,1.11; საგ. იონ 2,3-5.8; ლკ 10,25-37

მიუახლოვდა მას ლკ 10,34

გაბედული რწმენით მივუახლოვდეთ ჩვენს ტანჯულ ძმას, თუნდაც არ ვიცოდეთ რით ვანუგეშოთ. იესო გვიკარნახებს, როგორ „მოვბანოთ ჭრილობები, მოვასხათ სინაზის ზეთი სიტყვებითა და კონკრეტული მხარდაჭერით, ავიღოთ მისი ტვირთი და ვაცნობოთ ჩვენს მეგობრებს, სადაც მარტონი ვერ მივალთ“ - ასე გვირჩევს პაპი ფრანცისკე.

7 ოქტომბერი

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

იონ 3,1-10; ფს 129; ლკ 10,38-42

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უთხარი, დამეხმაროს ლკ 10,40

იესო იერუსალიმის გზას დაადგა, მართამ თავის სახლში მიიწვია გასაჩერებლად. მისი და მარიამი იღებს და ცდილობს მოუსმინოს: ის მოძღვარია! მართა – რომელიც ნიშნავს "დიასახლისი" – ოჯახის საქმეებზე ზრუნავს და იესოსაც კი სთხოვს, რომ უთხრას მის დას დახმარებაზე. მისდამი ნამდვილი სიყვარული იქნებოდა მისი დის მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალულიყო და ერთად ეთხოვათ მისთვის, რისი გაკეთება შეეძლოთ მისთვის.

8 ოქტომბერი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

იონ 4,1-11; ფს 85; ლკ 11,1-4

ლოცვისას თქვით: „მამაო“ ლკ 11,2

რა სასიხარულო ამბავს გვაუწყებ იესო: შეგვიძლია მივმართოთ ღმერთს და შენს მსგავსად ვუწოდოთ მას „მამა“. მადლობა, რამეთუ შენი შეწევნით ვცხოვრობთ მის შვილებად, შენმიერი ნდობით, იმ რწმენით, რომ ვუყვარვართ და შეგვისმენს ჩვენ. შევეცდებით, უფრო მეტად შევიცნოთ იგი. შევიგრძნობთ ნამდვილ მამობრიობას, რომელიც რაღაც დოზით ჩვენი ძვირფასი მამებისაგან მიგვიღია.

*წმ. დიონისე პარიზის ეპისკოპოსი და მისი მეგობრები, წამებულნი, +III*ს

წმ. იოანე ლეონარდი, ხუცესი, დედა ღვთისას მოწესე მღვდელთა დამაარსებელი, +1609 რომში

მალ 3,13 - 4,2; ფს 1; ლკ 11,5-13

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

თქვენი მამა მისცემს სულიწმიდას... ლკ 11,13

გუშინ იესომ გვასწავლა როგორ გვეთქვა: „მამაო“. ცდილობდა დაგვხმარებოდა მამის განჭვრეტაში, რათა მის სურვილებს, აზრებსა და ნებას ჩავწვდომოდით. დღეს კი ამაში შეუპოვრობას მოითხოვს ჩვენგან: ჭეშმარიტი ლოცვა შეუპოვარია. მოგვიწოდებს ვევედროთ ნათლის, მშვიდობის, და ჭეშმარიტების სულიწმიდას, იმ სულს, რომელსაც ჭეშმარიტი სიკეთე სწადია მის გვერდით მყოფთათვის.

10 ოქტომბერი

პარასკევი
2025

იოელ 1,13-15; 2,1-2; ფს 9; ლკ 11,15-26

მოციალლოდათ ღმერთის სასუფეველი ლკ 11,20

იესოს ახალი განდევნილი ჰყავდა მუნჯი კაცისგან ეშმაკი. წარმოიდგინეთ, რა ტანჯვას განიცდიდა საწყალი კაცი და მისი ოჯახი, და ვინ იცის რამდენი ხანი! მუნჯმა ენა ამოიდგა: შეუძლია ილოცოს სხვებთან ერთად და სხვებს მოასმენინოს ღმერთის სიტყვა. ეს ღმერთის სასუფევლის არსებობისა და სატანის ბატონობაზე გამარჯვების ერთ-ერთი ნიშანია.

11 ოქტომბერი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XXVII კვირა [III], მწ

წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963 რომში

იოელ 4,12-21; ფს 96; ლკ 11,27-28

ეცოდინებათ, რომ სიონზე ვმკვიდრობ

იოელ 4,17

წინასწარმეტყველ იოელის პირით ღმერთი გვპირდება, რომ იმ დღეს, როცა ღმერთი მოვა განსასჯელად, მისი ხალხი უსაფრთხოდ იქნება დაცული, როგორც ციხესიმაგრეში, და მიიღებს დასტურს, რომ იგი ნამდვილად მათ გვერდით არის, როგორც მაცხოვარი. მაინც ვინ არის მისი ხალხი? ვინც უსმენს და ცხოვრობს მისი სიტყვისამებრ. ეს სიტყვა ურყევი ციხეა, სიონის მთასავით.

12 ოქტომბერი

კვირა

2025

რიგითი XXVIII კვირადღე, «გ», [IV], მწ

4მეფ 5,14-17; ფს 97; 2ტიმ 2,8-13; ლკ 17,11-19

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 17,19

იესომ ათივე კეთროვანი განკურნა. თუმცა, მხოლოდ ერთს მიეცა ხსნა. ეს ხსნა იესოს გაშლილი ხელია, რომელიც მზადაა მოგვკიდოს და არასოდეს არ გაგვიშვას. ჩვენ გამუდმებით დავუბრუნდებით მას მადლიერების, ნდობისა და მორჩილების გრძნობით!

13 ოქტომბერი

ორშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV], მწ

რომ 1,1-7; ფს 97; ლკ 11,29-32

განწესებული ღვთის ძე ძალაში *რომ 1,4*

იესო, მე მჯერა, რომ შენ მამა ღმერთის
მხოლოდშობილი ძე ხარ, მისი სულით და
მისი სიყვარულით აღსავსე. მოგენდობი შენ
და მინდა შენი სიტყვისამებრ ვიცხოვრო.
შენ ხარ კაცი და ღმერთი, ჩვენი ცხოვრების
გამზიარებელი, სიკვდილისა და ცოდვის
დამთრგუნველი. აწ მამის მარჯვნივ
მჯდომარე ხარ და შუამდგომლობ ჩვენთვის!
თაყვანსა გცემთ შენ!

14 ოქტომბერი

სამშაბათი 2025

(1.X) დღესასწაული კვართისა;
წმმ. მირიან და ნანა, IVს.;
წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033
წმ. კალიქსტე I, პაპი, წამებული, +222

რომ 1,16-25; ფს 18; ლკ 11,37-41

მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)

არ მრცხვენია სახარებისა *რომ 1,16*

იესოსთან შეხვედრიდან რაღაც დროის შემდეგ ჩემმა მეგობრებმა დისკოთეკაზე დამპატიჟეს. მათი შეგულიანების და დაჟინების მიუხედავად, მაინც არ დავთანხმდი. კარგად ვიცნობდი იმ ბნელ გარემოს, რომელიც სახარებისეული უწყების შუქს არ გადმოსცემდა. გულითადად ვმადლობ იესოს იმ შინაგანი ძალისთვის, რომელიც იმიტომ მიბოძა, რომ არასოდეს მრცხვენოდეს მის გამო და წინააღმდეგობას ვუწევდე ყალბი მეგობრობის შეთავაზებებს.

15 ოქტომბერი

ოთხშაბათი
2025

(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე, მოწამენი +740 (მ), წ
წმ. თერეზა ავილელი, კარმელის რეფორმატორი, ქალწული, ეკლესიის მოძღვარი, +1582, (მ), თ

რომ 2,1-11; ფს 61; ლკ 11,42-46

მ. მიხეილ თარხნიშვილის გახსენება (+1958)

მშვიდობა ყოველ სიკეთის რამდენს

რომ 2,10

წმიდა პავლე მოგვიწოდებს, რომ ღმერთის მზერის ქვეშ ვცხოვრობდეთ, მის სიყვარულში დავრჩეთ და მას მოვაწონოთ თავი, სხვების განუკითხველად, ვგულმოდგინებდეთ იესოს სიტყვის მორჩილებაში. ასე მოვიპოვებთ მის მშვიდობას გულებში, რაც დაგვეხმარება ყველასადმი კეთილ საქმეთა კეთებაში, როგორც შინაურებთან, ისე გარეულებთან.

16 ოქტომბერი

ხუთშაბათი

2025

წმ. იადვიგა, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, +1243 სილეზიაში;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკი, ქალწული, +1690 პარეილომონიალში (საფრანგეთი);
წმ. ჯუზეპინა ვანინი, ქალწ., +1911

რომ 3,21-30; ფს 129; ლკ 11,47-54

რწმენით მართლდება კაცი *რომ 3,28*

ეს წმინდა პავლეს ღრმა კატექეზის ბირთვია, რომელიც მან მისწერა რომის ქრისტიანებს. და ეს ქრისტიანული რწმენის ბირთვია. "უსასყიდლოდ ვართ გამართლებულნი.. შეგვიძლია ვიცხოვროთ როგორც შვილებმა ღმერთის წინაშე, ქრისტე იესოს – მისი ძის გამოსყიდვით". ეს ჭეშმარიტება მისდამი სიყვარულს გვიცხოველებს, რათა ჩვენში გაქრეს ყოველგვარი შფოთვა, შიში და იმედგაცრუება, და ჩაგვესახოს ნდობა და მადლიერება იესოს, ჩვენი გამომსყიდველის, მიმართ!

17 ოქტომბერი

პარასკევი

2025

წმ. ეგნატე, ანტიოქიის ეპისკოპოსი, წამებული, +~107 რომში, (მ), წ

რომ 4,1-8; ფს 31; ლკ 12,1-7

მრავალ ბელურებზე მეტს ფასობთ ლკ 12,7

მადლობა, იესო, შენი გამხნევებისთვის, რომ
არ შევუშინდეთ მათ, ვინც შენი რწმენის
გამო სიცოცხლის მოსპობით გვემუქრება.
შენ გვპირდები მამის მფარველობას. მამისა,
ვინც ზრუნავს ცის ჩიტების საკვებზე, ვინც ისე
ახლოა ჩვენთან, რომ ჩვენი თმის ღერების
რაოდენობაც კი იცის, უფრო ძლიერად ჩაგ-
ვჭიდებს ხელს, როცა მისი სამეფოს გავრცე-
ლებას ვცდილობთ.

18 ოქტომბერი

შაბათი

2025

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +861;
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

განკურნეთ სნეულნი ლკ 10,9

წმიდა ლუკა, შენ გვესაუბრე იესოს ყრმობაზე, დედამისზე, მოგვითხრე უპოვართა და ცოდ-ვილთა მიმართ მის სიყვარულზე, სნეულთა და ვნებულთა მიმართ მის ზრუნვაზე, სულიწ-მიდაში მის სიხარულზე მათ გამო, ვინც მას გაუღებს გულის კარს; დაიპყარი ჩემი გულიც, რომ ვიყო თავმდაბალი, მტკიცე, მოწყალე, სახარების მხიარული მატარებელი.

19 ოქტომბერი

კვირა 2025

რიგითი XXIX კვირადღე, «გ», [I], მწ

[წმმ. იოანე დე ბრებეფი, წმ. ისააკ ჯოგი, ხუცესნი და მათი მეგობარი იეზუიტები, წამებულნი, +1642-1649წწ კანადასა და აშშ-ში; / წმ. პავლე ჯვრისა, ხუცესი, პასიონისტთა დამაარსებელი, +1775 რომში]

გამ 17,8-13; ფს 120; 2ტიმ 3,14 - 4,2; ლკ 18,1-8

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისთვის

თქვენ ქვეყანებით: მალე დაიცავს მათ ლკ 18,8

იესო გვამხნევებს, რომ ვილოცოთ გამუდ-
მებით, დაუცხრომლად, სახარების ქვრივის
მსგავსად, მაშინაც კი, როცა გვგონია, რომ
არავის ესმის ჩვენი ლოცვა. გვარწმუნებს,
რომ მამა ყოველივეს შეისმენს და თავის
დროზე შეგვეწევა, როცა მის ნებას აღვას-
რულებთ, რამეთუ სწადია, სიმშვიდე დაგვე-
უფლოს და გვჯეროდეს მისი სიყვარულის.
ერთგულად ვესწრებოდეთ საკვირაო წირვას,
ლოცვის ყველაზე ლამაზ ფორმას.

20 ოქტომბერი

ორშაბათი
2025

რომ 4,20-25; საგ. ლკ 1,68-75; ლკ 12,13-21

აბრაამი დარწმუნდა რწმენით *რომ 4,20*

აბრაამს ღმერთის ხმა მოესმა ხარანში, მაგრამ შემდეგ დუმილის წლები დაუდგა, განსაცდელის დღეებით. როგორც ღმერთის ჭეშმარიტ მეგობარს რწმენა არ დაუკარგავს, ვიდრე სასოებასა და ნდობაში განმტკიცებულმა მსხვერპლად არ შესწირა თავისი ძე – ისააკი: ამიტომაც ვუწოდებთ მას "ჩვენი რწმენის მამას".

21 ოქტომბერი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

რომ 5,12.15.17-19.20-21; ფს 39; ლკ 12,35-38

ერთის მოწრფილებით ბევრი ექცევა მართალი რომ 5,19

რა საამურია ეკლესიაში ღვთის ერთ ოჯახად ყოფნა! აქ ყველანი უფროსი ძმისაგან – იესოსაგან ვსწავლობთ. იგია მამის ერთგული და მდაბალი მორჩილება. მუდამ მორჩილებდა, ჩვენს გამოც. ამიერიდან, ჩვენ, მისი გამოხსნილნი, მადლობის ნიშნად ვემორჩილებით მათ, ვინც წინ მიგვიძღვის: მშობლებს, მღვდლებს, კატექისტებს, აღმზრდელებს.

22 ოქტომბერი

ოთხშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005 რომში

რომ 6,12-18; ფს 123; ლკ 12,39-48

ვინ არის ერთგული და ბრძენი მნე? ლკ 12,42

მადლობა იესო, შენ სიფხიზლისკენ მოგვიწოდებ, რათა ცხოვრება შენი მოსვლის მოლოდინად ვაქციოთ. ერთგული მნეები ვიქნებით, როგორც მიწიერ სიკეთეთა – გონისა და გარჯისა – ასევე სულიერ სიკეთეთა – ლოცვის, სიტყვის უწყების, განსაცდელის დაძლევის, სნეულთა შეწევნის ... – რაც ჩვენს ხელთ მოანდე. საზღაურს შენგან მივიღებთ!

23 ოქტომბერი

ხუთშაბათი

2025

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუცესი, ფრანცისკელი, +1456 ილოკში (ხორვატეთი)

რომ 6,19-23; ფს 1; ლკ 12,49-53

ღვთის მადლია საუკუნო სიცოცხლე ქრისტე იესოში

რომ 6,23

როცა ცდუნებას ავყვები და ამ გზით იესოს ვეურჩები, სიკვდილს, მოუსვენრობას, სინანულს ვაწყდები; ხოლო როდესაც იესოს ვიღებ, მისი ნებისამებრ ვცხოვრობ და სიმშვიდე და სიხარული მეუფლება, რაც მარადიული სიცოცხლის - ღვთის სიცოცხლეს განმაცდევინებს.

სულო წმიდაო, შენი შეწევნა მეიმედება!

24 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXIX კვირა [I], მწ

პარასკევი
2025

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების მცირე ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

რომ 7,18-25; ფს 118; ლკ 12,54-59

წმ. იოსების მცირე ასულთა კონგრეგაციის დღესასწაული

ვმადლობ ღმერთს რჯენი უფლის
ქრისტე იესოს მიერ *რომ 7,25*

ეს დიდი მოციქული პავლეს ანდერძის დასკვნაა: ისიც გრძნობს საკუთარ თავში ბოროტების არსებობას და მისკენ მიდრეკილებას. უფროსი ძმასავით გვირჩევს გამოსავალს, რაც თავად იპოვა: რწმენით ვედრება იესოსადმი; მხოლოდ იესო, თავისი სახელის ძალით გაამარჯვებინებს ჩვენში მამის სიყვარულს. მადლს ვწირავთ მას ამისთვის.

25 ოქტომბერი

შაბათი

2025

რომ 8,1-11; ფს 23; ლკ 13,1-9

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ღვთის სული ცხოვრობს თქვენში *რომ 8,9*

მამაო, შენი შვილი ვარ: შენსავით და შენში შემიძლია მივუტევო, დავლოცო და გავუგო ჩემს ძმებს! შენ სულს მოაქვს ჩემში შენი სიცოცხლე და იესო, ჩემი მაცხოვარი, კარს უღებს მას ჩემს გულში. მადლობა, უწმიდესო სამებაო!

26 ოქტომბერი

კვირა

2025

ზირ 35,15-17.20-22; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.16-18; ლკ 18,9-14

ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი ლკ 18,13

მრავალმა წმიდა ბერმა აღავსო თავისი სიცოცხლე ამ ლოცვით: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი“. „მე”: ისინი ერთობაში გრძნობდნენ თავს ყველასთან, თუნდაც მძიმე ცოდვილებთან; მათთვისაც იმდაბლებდნენ თავს უფლის წინაშე. „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი“: როგორი მარტივი, მშვენიერი და სიყვარულით სავსეა ეს ლოცვა. და რარიგ მოსაწონია მამისთვის!

27 ოქტომბერი

ორშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXX კვირა [II], მწ

რომ 8,12-17; ფს 67; ლკ 13,10-17

მიღებული გაქვთ სული... რომ 8,15

წმინდა პავლე რომის ქრისტიანებს შეახსენებს, რომ მათ მიიღეს სულიწმიდა, სიბრძნის, ცოდნის, სიმტკიცის, თავშეკავების, ღვთის შიშის სული... დღესაც ამას გვახსენებს. ჩვენ მივიღეთ იგი ნათლობისა და მირონცხების დროს, კვლავაც ვიღებთ მას სხვა საიდუმლოებებში და იმ წუთებში, როდესაც იესოსთან მჭიდრო კავშირს ვამყარებთ მისი სიტყვის მოსმენით. მისი მოსმენით ნეტარებას ვეძლევით: იგი ღვთის შვილებად გვაცოცხლებს.

28 ოქტომბერი

სამშაბათი
2025

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მისცან ცამოდიოდა ძალა და ყველას კურნავდა ლკ 6,19

იესოს ამქვეყნად მოსვლის პირველადი მიზანი სნეულთა განკურნება და ეშმაკთა განდევნა როდი იყო. ეს მხოლოდ „ნიშნებია“, ნიშნები, რასაც ხშირად გვაწვდის წმინდა წერილი მესიაზე, რასაც აცხადებდა და აცხადებს, იმისათვის, რომ ვირწმუნოთ იგი როგორც ღმერთის ძე. ჩვენც ვიღებთ მას აღსარების საიდუმლოში, ყველა წმინდანის დღესასწაულის სამზადისში.

29 ოქტომბერი

ოთხშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXX კვირა [II], მწ

(16.X) წმ. ღირსი ზენომ იყალთოელი, მონაზონი, VIს

რომ 8,26-30; ფს 12; ლკ 13,22-30

თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის *რომ 8,26*

მამა ღმერთმა ყველაფერზე იფიქრა! მეტს ვერაფერს გააკეთებდა. ჩემი ნების, მოწყვლადი და უმწეო ნების შესაწევნად თავის სულიწმიდას მიანდო ჩემთვის მეოხება, „გამოუთქმელი გოდებით“, მეტადრე, როცა დაბნეული ვარ და მის გზას არ მივყვები. მადლობა, სულო წმიდაო: შენს ლოცვას ვესავ, რათა მამის სახლს გარეთ არ დავრჩე სასოწარკვეთილი.

30 ოქტომბერი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXX კვირა [II], მწ

რომ 8,31-39; ფს 108; ლკ 13,31-35

ვინ რამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს? რომ 8,35

როდესაც იესო გვიყვარს, – ვინც პირველმა შეგვიყვარა, – არაფერი გვაშინებს. იგი ჩვენს გულშია, გვქომაგობს, თავისი სიტყვის შეხსენებით და თავისი მადლის გაძლიერებით. წმინდა პავლე წამებულებზე გვაფიქრებს, რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს იესოს გამო და ასე დაამარცხეს წუთისოფლის ცდუნება. ჩვენი ბრძოლა და გარჯა იმისათვის, რომ ვუერთგულოთ მათ, უნაყოფოდ არ დარჩება, რამეთუ „წამებულთა სისხლი ახალ ქრისტიანთა თესლია“!

31 ოქტომბერი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის XXX კვირა [II], მწ

რომ 9,1-5; ფს 147; ლკ 14,1-6

შეეხო და განკურნა იესი... ლკ 14,4

იესო არ იცავს მანძილს: ხელს გვჭიდებს. თავისი ყოფნით, როგორც აღმდგარი, გვკურნავს, გვაძლიერებს, გვანათლებს, გვანუგეშებს, გვამშვიდებს, ფეხზე გვაყენებს... თავისი სიახლოვით გვიმჟღავნებს მამის სიყვარულს ჩვენ, ღარიბებსა და სუსტებს.